

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი ჭაბუკთა და გოგონათა შორის 8,  
10, 12, 14, 16 18 და 20 წლამდე. 15-21 ოქტომბერი

1. ორგანიზატორი-ევროპის საჭადრაკო კავშირი
2. ევროპის საჭადრაკო კავშირის წევრ ფედერაციებს შეუძლიათ წარადგინონ თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში 3 მონაწილე, სულ 42 მოჭადრაკეს აქვს მონაწილეობის მიღების უფლება თითოეული ქვეყნიდან.
3. თითოეულმა ფედერაციამ უნდა დანიშნოს ერთი წარმომადგენელი მონაწილეებისთვის და ერთი პიროვნება საკომუნიკაციოდ ტექნიკური დეტალების შესათანხმებლად. (არ შეიძლება ეს ფუნქცია შეითავსოს ტურნირში დანიშნულმა მსაჯმა)
4. ერთი მონაწილის სატურნირო შესატანი შეადგენს 50 ევროს, რომელიც გადარიცხული უნდა იქნას ევროპის საჭადრაკო კავშირში
5. ფიდესთან შეთანხმების საფუძველზე ტურნირში დაითვლება რეიტინგი
6. რეგისტრაცია უნდა მოხდეს ეროვნული ფედერაციების მეშვეობით, სპეციალური სააპლიკაციო ფორმის შევსებით და გაიგზავნოს ელ-ფოსტაზე-  
eocc@europechess.org
7. სატურნირო შესატანი უნდა გადაირიცხოს ეროვნული ფედერაციების მიერ ევროპის საჭადრაკო კავშირის საბანკო ანგარიშზე:  
Bank: Credit Suisse, Postfach 357, CH-6301 Zug  
Account number: 1835105-42 Holder: European Chess Union National Bank Code: 4835  
BIC: CRESCHZZXXX  
IBAN Code: CH3604835183510542000  
ან საკრედიტო ბარათით, ერთიანი გადახდის შემთხვევაში:  
<https://www.europechess.org/ecu-payments-donations/>
8. რეგისტრაციის ბოლო ვადაა პირველი ოქტომბერი 2021
9. დროის კონტორლი: 90 წუთი პარტიის ბოლომდე 30 წამის დამატებით პირველი სვლიდან ბოლომდე. 30 წუთზე მეტი დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება
10. მონაწილეს აქვს უფლება აიღოს „ბაი“-დასვენება მეექვსე ტურამდე და დაემატება ნახევარი ქულა. ბაის აღება დასაშვებია მხოლოდ ერთხელ ტურნირის მსვლელობისას
11. სათამაშო დარბაზი: თითოეულ ქვეყანას აქვს უფლება აირჩიოს სამი ლოკაცია (ქალაქი) ევროპის საჭადრაკო კავშირთან შეთანხმებით. (განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ევროპის საჭადრაკო კავშირთან შეთანხმებით დაემატოს სათამაშო ადგილი)

12. ფედერაციებმა უნდა გამოიყენონ „კაბელის“ ინტერნეტი 2 სხვადასხვა მომწოდებლით, ერთის გათიშვის შემთხვევაში ავტომატური გადართვის სერვისით მეორე მომწოდებლის ინტერნეტზე.
13. თითოეულ სათამაშო დარბაზში უნდა იქნას დამონტაჟებული სათანადო რაოდენობა კამერების სრული კონტროლის უზრუნველყოფისთვის. საჭიროა თითოეული მონაწილისთვის დამატებითი კამერა (ნოუთბუქის ან სხვა საშუალებით)
14. სავალდებულოა ზუმ ზარისთვის კამერა ეკრანის გაზიარებით. მთავარი მსაჯი უზრუნველყოფს ზუმის ჩაწერის პროცესს
15. ყველა ქვეყანამ სათამაშო დარბაზში უნდა იმოქმედოს კოვიდ-19 ვირუსთან დაკავშირებით ადგილობრივი პროტოკოლით, მონაწილეს თუ დაუდასტურდა ვირუსი ფედერაციებმა უნდა იმოქმედონ ადგილობრივი პროტოკოლის თანახმად, ტურნირი არ შეწყდება.
16. ტურნირი გაიმართება პლატფორმა ტორნელოს მეშვეობით
17. დეტალური ინფორმაცია სათამაშო დარბაზის ტექნიკურად გამართვასთან დაკავშირებით გაეგზავნებათ ეროვნულ ფედერაციებს
18. ტურნირის განრიგი:  
ტექნიკური შეხვედრა 10 ოქტომბერი 18:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მსაჯების შეხვედრა 11 ოქტომბერი 18:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

საცდელი (სატესტო) ტურნირი 14 ოქტომბერი 18:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

გახსნა 15 ოქტომბერი 15:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

პირველი ტური 15 ოქტომბერი 16:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მეორე ტური 16 ოქტომბერი 10:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მესამე ტური 16 ოქტომბერი 17:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მეოთხე ტური 17 ოქტომბერი 16:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მეხუთე ტური 18 ოქტომბერი 10:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მექვსე ტური 18 ოქტომბერი 17:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მეშვიდე ტური 19 ოქტომბერი 16:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მერვე ტური 20 ოქტომბერი 16:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

მეცხრე ტური 21 ოქტომბერი 16:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

დახურვა 22 ოცტომბერი 18:00 ცენტრალური ევროპის დროით (CEST)

19. სამართლიანი თამაშის წესები:

ყველა სათამაშო სივრცეში მოქმედებს ფიდესა და ევროპის საჭადრაკო კავშირის ანტი-ჩითინგის წესები. დაუშვებელია სათამაშო სივრცეში მობილურის ან ნებისმიერი სხვა ელექტრონული მოწყობილობის შეტანა. მხოლოდ მსაჯები და მოთამაშეები დაიშვებიან სათამაშო სივრცეში. სამართლია თამაშის წესების დარღვევის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება

ზუმ პროგრამა უნდა ჰქონდეს ყველა მონაწილეს დაინსტალირებული. მონაწილეებს აქვთ უფლება სვლები გააკეთონ საჭადრაკო დაფაზე, მხოლოდ ის სვლები რაც ონლაინ დაფაზეა გაკეთებული.

მონაწილეებს აქვთ სიარულის უფლება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, რომელიც კონტროლდება კამერით. (ასევე მოსასვენებელ ოთახში მსაჯის ნებართვით და ელექტრო დეტექტორით შემოწმების შემდეგ)

ყველა სხვა შემთხვევაზე, რაც არ არის ამ დებულებაში გათვალისწინებული მოქმედებს ფიდესა და ევროპის საჭადრაკო კავშირის მოქმედი დებულებები.

20. დამატებითი წესები:

ინტერნეტის გაწყვეტის შემთხვევაში ევროპის საჭადრაკო კავშირი მიიღებს გადაწყვეტილებას ინტერნეტის შეწყვეტის დროის გათვალისწინების მიხედვით.

ყველა პარტიის ინტერნეტით შეწყვეტის შემთხვევაში, ნაციონალურ ფედერაციებს აქვთ საშუალება სანამ მოთამაშეებს დრო არ დაუმთავრდებათ აღადგინონ კავშირი ამ შემთხვევაში მსაჯებს აქვთ უფლება აღადგინონ დრო ან მოითხოვონ პარტიის გადათამაშება პირველივე სვლიდან.

ტორნელოს საიტს აქვს ფუნქცია „მსაჯი“ რომლის დაჭერის შემთხვევაში საათი ჩერდება და ადგილობრივი მსაჯი განიხილავს პრობლემას. არამიზნობრივად ამ ღილაკის გამოყენების გამო მონაწილეს შეიძლება ჩაეთვალოს წაგება.

ევროპის საჭადრაკო კავშირი არ არის პასუხისმგებელი ადგილობრივ ტექნიკურ ხარვეზებზე.

ევროპის საჭადრაკო კავშირს აქვს უფლება შეცვალოს დებულება და ტურნირის განრიგი.

ნაციონალურმა ფედერაციებმა უნდა უზრუნველყონ მსაჯები, მინიმუმ 2 მსაჯი და იმ შემთხვევაში თუ ერთ სათამაშო დარბაზში 15 მონაწილეზე მეტია კიდევ თითო მსაჯი ყველა დამატებით 15 მონაწილეზე.

ეროვნული ფედერაციები ფარავენ მსაჯების ანაზღაურებას და ყველა ხარჯს. მსაჯები უნდა საუბრობდნენ ინგლისურად და ჰქონდეთ ფიდეს მსაჯობის ლიცენზია.

